შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
განათლებესა და ჰუმანიტარულ მეცნიერებატა ფაკულტეტი
თურქული ფილოლოგიის პროგრამა

უცხოელები, როგორც საკუთარი იდენტობის ნაწილი და ანტითეზა აჰმედ ჰამდი თანფინარის ნაწარმოებებში

აისელ ქამალ
თურქულის ფილოლოგია, სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი

თბილისი, 2018

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ილიას უსთუნიერ

(სახელი, გვარი)

(შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი)

(აკადემიური წოდება)

(ხელმძღვანელის ხელმოწერა)

ექსპერტები (სახელი, გვარი & აკადემიური წოდება):

1. მუსთაფა ასლან ასოცირებული პროფესორი დოქტორ
2. მუზაფერ ქირი ასოცირებული პროფესორი დოქტორ

ოპონენტები (ექსპერტები (სახელი, გვარი & აკადემიური წოდება):

1. მარინე შონია ასოცირებული პროფესორი დოქტორ
2. ელენე ჯაველიძე ასოცირებული პროფესორი დოქტორ

შესავალი

აჰმეთ ჰამდი თანფინარი (1901-1962), რომელიც მე -20 საუკუნის ბოლო მეოთხედის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მწერალი იყო თურქი მკითხველებისთვის და იგი კვლავ ასეთად რჩება დღესდღეობითაც, (2013-2017 წლების პერიოდში მის შემოქმედებაზე დაიწერა 20-მდე წიგნი), თავის დღიურებში და წერილებში აღნიშნავდა, რომ იგი შესაძლებლობების ფარგლებში ემსახურა ლიტერატურას და ამასთანავე ჩივის, რომ მისი შემოქმედება სათანადოდ ვერ იქნა შეფასებული მკითხველის მიერ; "...რა უნდა გაკეთდეს? მე გავაგრძელებ გარემოებათა მიუხედავად მუშაობას, მე მოვახდენ საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალის სრულად გამოვლენას იმ იმედით, რომ ერთ მშვენიერ დღესაც მოხდება სასწაული (Enginün & Kerman, 2013, გვ. 39)." მან იცოდა, რომ იგი იყო მდუმარე მკვლელობის ობიექტი როგორც მწერალი და როგორც შემოქმედი, მაგრამ მან ისიც იცოდა, რომ მოვიდოდა დრო და თურქი მწერალი კვლავ დაუბრუნდებოდა მის ნაშრომებს. რა გახდა მოგვიანებით თურქი მკითხველის მიერ თანფინარის ნაშრომებისადმი ინტერესის გაღვივების მიზეზი? თანაც, მისი ნაშრომები ითარგმნა 40 ენაზე. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ თანფინარი მისი შემოქმედებისადმი უინტერესობისა და არაკეთილგანწყობის მიზეზად პოლიტიკას მიიჩნევდა, მკითხველის მხრიდან მისი ნაწერების სათანადოდ ვერ-აღქმის რეალური მიზეზი გახლდათ ის, რომ მის ნაშრომებში ერთობ რთულად ფიქსირდება და იკითხება მისივე შინაგანი სამყარო იმ ხატებსა და რეალისტურ ასოციაციებში, რომლებსაც მწერალი წარმოგვიდგენს მათში.

თავის ლიტერატურულ და სამეცნიერო ნაშრომებში, ყოველდღიურ ცხოვრებაში და წერილებში კულტურული, სოციალური, ხელოვნების, ესთეტიკისა და შემოქმედებითი პროცესის საკითხებისადმი დაკავშირებულ მსჯელობებში თანფინარი ხშირად იშველიებს სხვადასხვა ეროვნების - ძირითადად ევროპელ შემოქმედებსა და მათ შემოქმედებას - პოეტებს, მუსიკოსებს, მწერლებს, მოქანდაკეებს, მხატვრებს... ევროპაში მოგზაურობისას დაწერილ დღიურებში მწერალი პირდაპირი დამოწმების სახით ახსენებს 135 მხატვარსა და მოქანდაკეს, 60-ზე მეტ მწერალსა და მოაზროვნეს და 16 მუსიკოსს. იგი აგრეთვე სახელების ხსენების გარეშე განიხილავს სხვადასხვა ესთეტების მოსაზრებებს, განიხილავს რა მათ ნაშრომებს. როგორც წესი,

ესენი არიან ფრანგი ხელოვნები, მწერლები და პოეტები რომლებსაც თანფინარი სწავლობდა სტილისტური და შექმოქმედებითი ფილოსოფიის კუთხით. იგი აგრეთვე ინტერესდებოდა თურქი ხელოვნებითაც რომელთა ნაწილისადმი გააცნდა სიმპათიები, ხოლო ნაწილისადმი ანტიპათია (Üstünyer & Kamal, 2017, pp. 766-777).

თანფინარის მიერ უცხოელი პოეტების, მწერლების და ესთეტიკოსების აღქმის დონეების დადგენა მის ნაშრომებში შესაძლებელია შესასწავლი ფონემენების განხილვისას უმაღლესი ესთეტიკური სტანდარტების მისადაგების მეშვეობით. ამ სახის პოზიცირება შესაძლებელია არა უშუალოდ ლიტერატურის საგნის განხილვით, არამედ ხელოვნების სხვა დარგების წარმომადგენელთა ნაშრომებთან პარალელების გავლების მეშვეობით. შესაბამისად, თანფინარის მკითხველები საკმარისად უნდა იყვნენ გათვითცნობიერებულნი ხელოვნების სხვა დარგებში.

მწერალის ეს სურვილი რომ მოახდინოს "ჩვენი" არტისტული კრეატიულობის პოზიცირება უნივერსალური იდეების არეალში უნდა გავიგოთ, როგორც მისი სწარფვა ლოკალური არტისტული კრეატიულობის უნივერსალურობის ჩარჩოში სუბლიმირებისა. რა თქმა უნდა, თანფინარი სუბლიმაციის ამ პროცესს არ იწყებს "ლოკალურის" უნივერსალურში განწესებით არამედ პირიქით, იგი თავდაპირველად ცდილობს აღმოაჩინოს უნივერსალური. შემდგომ უკვე იგი ცდილობს აღმოაჩინოს და კვლავ აღმოაჩინოს მისი საკუთარი ღირებულებები და მოახდინოს მათი კომბინირება უნივერსალურ ღირებულებებთან, ცდილობს რა შექმნას ახალი ესთეტიკური სუბლიმაცია. ამ მიზნით მწერალი ახდენს ყველა იმ ღირებულებისა და პრინციპის გათავისებას, რაც მან შეაგროვა უცხოელი ესთეტების ნაშრომებიდან. ხელოვნების დარგები, რომლებიდანაც თანფინარი იღებს თავის ესთეტიკურ სტანდარტებს, მოიცავს: არქიტექტურას, მხატვრობას, მუსიკას და სხვა სფეროებს. ამგვარი კომბინაციის კარგი მაგალითია მისი ნაშრომი სახელწოდებით *Huzur* (სიმშვიდე), რომელშიც იგი ერთმანეთს ადარებს ტრადიციულ თურქულ და დასავლურ კლასიკურ მუსიკებს.

თანფინარი სიმპათია/ანტიპატიის მიხედვით უცხოელ ხელოვნებს ოთხ კატეგორიად ჰყოფს: ა) არაკეთილმოსურნეებთან ისტორიული ურთიერთქმედება

(თურქულ-უცხოური: გერმანელები, რუსები, ინგლისელები, ამერიკელები და სხვა), ბ) მტრის აღქმა, გ) უცხოელი ხელოვნების თურქ ხელოვნებზე პოზიტიური კუთხით გავლენა, დ) უცხოელი მიგრანტების ჩასვლა თურქეთში ომიანობის პერიოდში და მათი პოზიტიურ/ნეგატიური გავლენების თურქეთის სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაზე (Üstünyer & Kamal, 2017).

მოცემული ნაშრომის მთავარი მიზანია უცხოელი ხელოვნებისა და ესთეტიკოსების პოზიტიური და ნეგატიური გავლების დადგენა თანფინარის მიერ საკუთარი თვითყოფადობის განსაზღვრის პროცესში, როგორც ესთეტისა, პოეტისა, მწერალისა და ლიტერატურული კრიტიკოსისა. ხსენებული მომენტიდან ჩვენ შევეცდებით გამოვავლინოთ თანფინარის რომანებში წარმოდგენილი უცხოური ელემენტების გავლენა სინქრონული და დიაქრონული მიდგომების გამოყენებით. სინქრონული მიდგომა წარმოგვიჩენს "სუბიექტს" მისივე ანალოგიური და საწინააღმდეგო ასპექტებით, მაშინ როდესაც დიაქრონული მიდგომა გამოავლენს სუბიქეტების ცვლილებას, სემანტიკურ ჩართულობას და ჰიპოთეზებს მათსავე ისტორიული განვითარების ხაზში. ყოველივე ეს გამოხატულებას პოულობს თანფინარის ნაწერებში მისი სემანტიკური არეალების *სხვაში* გადატანისა და მათი ხილულობის მეშვეობით.

ეჭვგარეშა ის, რომ თანფინარის თვით-იდენტობის ესთეტიზმის შემადგენელი ერთერთი უმთავრესი ელემენტია დასავლეთ-აღმოსავლეთის დუალიზმი. აღნიშნული დუალიზმი ქმნის მწერლის ონტოლოგიურ და ეპისტემოლოგიურ, ისევე როგორც არტისტულ და ესთეტიკურ საფუძვლებს.

შეიძლება ითქვას, რომ თანფინარი, რომელიც დაიბადა გეოგრაფიულად პლურალისტურ იმპერიაში, გახდა საკუთარი საზოგადოების რადიკალური ვესტერნიზაციის მოწმე რის შედეგადაც მან დაიწყო საკუთარი აღმოსავლური ფესვებისადმი დაბრუნება მისი ცხოვრების მეორე ნახევარში. თანფინარი ერთმანეთს ადარებდა ორი კოგნიტური არეალის - დასავლეთის და აღმოსავლეთის ელემენტებს მისი ცხოვრების მეორე ნახევრამდე, ცდილობდა რა შეექმნა საკუთარი თვით-იდენტობა და ამასთანავე გადაეცა მკითხველისთვის ჭეშმარიტების, მშვენიერისა და

ხელოვნების მისეული წარმოდგენები. შესაძლებელია მრავალი ადგილის მოძიება მის შემოქმედებაში სადაც მწერალი ახორციელებს ყოველივე ამას *სხვაზე* საკუთარი მოსაზრებების განვრცობით.

კვლევის პრობლემა

აჰმეთ ჰამდი თანფინარზე, რომელსაც უჭირავს მნიშვნელოვანი ადგილი მე-20 საუკუნის თურქულ ლიტერატურაში როგორც ლიტერატურის ისტორიკოსს, მწერალს, პოეტს, ესსეისტსა და ესთეტიკოსს, დაიწერა მრავალი კვლევა, წიგნი თუ სტატია 21-ე საუკუნის პირველი 15 წლის განმავლობაში. ლიტერატურის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, ფილოსოფიის და ბევრი სხვა სფეროს ექსპერტებმა ხსენებულ პერიოდში ჩაატარეს არაერთი კვლევა მწერლის შემოქმედებასთან დაკავშირებით. აქამდე არ ჩატარებულა კვლევა უცხოელ ხელოვანთა (რომლებსავ მწერალი პირდაპირი თუ არაპირდაპირი სახით მოიხსენიებს საკუთარ ნაშრომებში) გავლენაზე თანფინარის თვით-იდენტობის ცნებაზე ონტოლოგიური და ესთეტიკური დონეების ჩართვით.

ჩვენ ვახდენთ საკვლევი საკითხის შემდეგი სახით ფორმულირებას: "*უცხოელები, როგორც შემადგენელი ნაწილი და ანტითეზა აჰმედ ჰამდი თანფინარის ნაშრომებში*"

იმისათვის, რომ მოვახდინოთ ხსენებული საკითხით ჩასმა უნივერსალურ კონტექსტში ჩვენ შევეცდებით პასუხი გავცეთ შემდეგ კითხვებს რომლებიც შესაძლოა დაგვეხმაროს კვლევის ფარგლებში:

1. რომლებია დასავლური აზრის თვით-ცნობიერების ელემენტები?
2. რომლებია აღმოსავლური აზრის თვით-ცნობიერების ელემენტები?
3. რა არის აჰმეთ ჰამდი თანფინარის თვით-ცნობიერების შემადგენელი ონტოლოგიური კომპონენტები?
4. არის აჰმეთ ჰამდი თანფინარის თვით-ცნობიერების შემადგენელი ესთეტიკური კომპონენტები?
5. თანფინარის თვით-ცნობიერების რომელ ონტოლოგიურ და ესთეტიკურ კომპონენტებზე მოახდინეს გავლენა უცხოელმა ავტორებმა?

6. უცხოელი ავტორების რომელი ონტოლოგიური და ესთეტიკური კომპონენტები წარმოადგენენ თანფინარის თვით-ცნობიერების ანტითეზას?

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია: თანფინარის თვით-ცნობიერების ჩამოყალიბებაზე უცხოელი ავტორების გავლენის ხარისხი (ეპისტემოლოგიურ და ონტოლოგიურ განზომილებებზე), მათი პოზიტიური-ნეგატიური ეფექტები და როგორ და რომელ დონეებზე მოხდა მათი გათავისება თანფინარის მიერ. ჩვენი სავარაუდო მიგნებები დაგვეხმარება იმის გარკვევაში, არის თუ არა თანფინარის ესთეტიკური და არტისტული აზრი თანამედროვე/მოდერნული (გამაუცხოვებელი, უარმყოფი) თუ კლასიკურ/რეფლექსიური (განსაკუთრებით, იაჰია ქემალთან მიმართებაში), რასაც ადგილი აქვს ლიტერატურის თანამედროვე კრიტიკოსებს შორის.

კვლევის ჰიპოთეზა

თავის დღიურებში, წერილებსა თუ ესსეებში აჰმეთ ჰამდი თანფინარი ახსენებს ბევრ ევროპელ მწერალს, მოაზროვნეს, მხატვარსა თუ მუსიკოსს. როგორც თავად მწერალი აღნიშნავს, მის მიერ ხსენებული ავტორების/ხელოვნების ნაწილმა პირდაპირი გავლენა იქონია მის შემოქმედებაზე, დანარჩენებმა კი მცირედი რემინისცენცია გამოიწვიეს მის კრეატიულ აზროვნებაში.

თანფინარი იმას, თუ რას შეითვისა დასავლელი ხელოვნებისგან ერთგვარად განსხვავდება იმისგან, თუ რას ამბობენ იმავეზე რესპუბლიკის პერიოდის სხვა თურქი მწერლები. რესპუბლიკის პერიოდის რიგმა ავტორებმა და თანფინარის თანამედროვე ხელოვანებმა ევროპელი ავტორების მნიშვნელოვანი გავლენა განიცადეს (რაც ვერ ჩაითვლება ყოველთვის დადებით მომენტად).

თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ მის ზოგიერთ ნაწარმოებში თანფინარი შეეცადა უცხოელი ავტორების მოსაზრებათა ჰოლისიკურად გადმოცემას, მოახდინა რა მათი თურქულ კულტურულ კონტექსტში ინტერპრეტირება ნაცვლად მათი იმიტირებისა და შექმნა საკუთარი ღირებულებები. თანფინარს სჯეროდა მისი თვით-ცნობიერების

და იგი ცხოვრებას შინაგად რეალობაზე ორიენტირებულად წარმართავდა და ცდილობდა იმავეში თავისი მკითხველიც დაერწმუნებია.

თავისი ნაწარმოებების რიგ ნაწილებში თანფინარი ღიად ასახელებს უცხოელ ავტორებს, მაშინ როდესაც სხვაგან ახდენს მათი არაპირდაპირი გზით მოყვანას (როგორიცაა დოსტოევსკის რასკოლნიკოვისა და სუათის მსგავსება). თანფინარი თავის ნაწარმოებებში ახსენებს არა მხოლოდ უცხოელ პოეტებსა და მწერლებს, არამედ იგი მსჯელობს ხელოვნების სხვა სფეროების გამოჩენილ წარმომადგენლებზეც. ეს ფაქტი შეიძლება დაგვეხმაროს თანფინარის, როგორც ესთეტიკოსის უკეთ გაგებაში. ევროპაში მოგზაურობების შედეგად თანფინარმა გააცნობიერა ის ფაქტი, რომ მხატვრული ტექსტი არ შედგება მხოლოდ უშუალო წერის პროცესისგან, არამედ იგი აგრეთვე მოიცავს არტისტული კრეატიულობის სხვა ისეთ სფეროებს, როგორებიცაა მხატვრობა, მუსიკა, ქანდაკება და არქიტექტურა, რადგანაც ყოველივე ჩამოთვლილი კვებასვს მწერლის/პოეტის მხატვრულ წარმოსახვას. მწერლის ნაწარმოებებში წარმოდგენილი ნაწილობრივი და ფარული პაროდიები წარმოადგენს ინტერდისციპლინარული კომპონენტების კარგ მაგალითს რომლებმაც ითამაშეს მნიშვნელოვანი როლი მწერლის ესთეტიკური იდენტობის ჩამოყალიბებაში.

კვლევის სიახლე

ნაშრომის სიახლე: თანფინარის ნაწარმოებებში წარმოჩენილ კოგნიტიურ პროცესებში უხცოს პოზიციონირება და პერცეფცია. მოცემული კვლევა პირველია, რომელიც ცდილობს შეისწავლოს დასავლური კულტურის გავლენა თანფინარის მხატრვულ აზროვნებაზე ზოგადად. თანფინარმა ურთიერკავშირში განიხილა ისეთი ცნებები, როგორებიცაა სივრცე-ადამიანი-ბუნება-ღმერთი. თვით-ცნობიერების ისეთი აბსტრაქტული კომპონენტები, როგორებიცაა სიზმარი, სიკვდილი, მუსიკა, მხატვრობა და სხვა მსგავსნი, ასევე იქნა შესწავლილი. ჩვენ შევეცადეთ გამოგვეყო თვით-ცნობიერების პირველადი და მეორადი კომპონენტები და გაგვეანალიზებინა, თუ როგორ ტრანსფორმირდებიან ისინი ესთეტიკურ ფენომენებად. ასევე, კვლევის მეცნიერული მეტოდის გამოყენებით შევისწავლით უცხოელი ავტორების როლს თანფინარის შემოქმედების კონტექსტში.

კვლევის მეთოდი

ველეკ და ვარრენი (Wellek & Warren, 2013) თავვიანთ ნაშრომში სახელწოდებით *ლიტერატურის თეორია* ახსენებენ ორ მეთოდს რომელსაც გამოიყენებენ თანამედროვე ლიტერატურის მკვლევრები კვვლევის წარმოებისას. ესენია ლიტერატურული კრიტიციზმი და ტექსტის ანალიზი. ონალ-ის მიხედვით (Önal, 1999), ლიტერატურის სფეროში გამოყენებისას კრიტიციზმის მეთოდი ნაწილობრივ იმართება ინტუიციისა და ინტერპრეტაციის მეშვეობით, ასევე, გემოვნებისა და პრეფერენციების მეშვეობითაც კი. ყოველივე ეს კი მოითხოვს ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრებისა და ფორმების შესწავლის პარალელურად გარკვეული კვლევის მეთოდების გამოყენებას (s. 140), მაშინ როდესაც ტექსტის ანალიზი ფოკუსირდება ისეთ ასპექტებზე, როგორიცაა ციკლები, სტილები და მსგავსნი, თუმცა, იგი აგრეთვე იყენებს ლიტერატურის შესწავლის საკუთარ მეთოდებსაც. ტექსტის ანალიზი წარმოადგენს კვლევის ყოვლისმომცველ სტილს რომელიც აქცენტირებას ახდენს არტისტული კრეატიულობის სპეციალურ ასპექტებზე, განიხილავს მათ როგორც მთელი-ნაწილის შედეგს, მნიშვნელობასა და ასოციაციებს შორის ურთიერთკავშირზე თავის ესთეტიკურ ერთიანობაში (s.141). "როგორცჩვენ ამას დავინახავთ მხატვრულ ტექსტში რომელსაც ჩვენ ვეძებდით თავიდანვე, ისეთმა ფაქტორებმა როგორიცაა ინტენცია და ფუნქცია, შეიძლება ჩამოაყალიბონ ჩვენი შეხედულებები და შესაბამისად, ჩვენ შეგვიძლია საკუთარი ანალიზის მიმართვა სწორედ აღნიშნული მომენტიდან" (Önal, 1999, s. 161). იმ ნარშომებთან მიმართებაში, რომლებიც ხასიათდებიან მაღალი ესთეტიკურობით, შესაძლებელია ანალიზის რამოდენიმე მეთოდის გამოყენება. ჩვენ ნაწილობრივ გამოვიყენეთ რეფლექსიის თეორია ავტორის მიერ ნაშრომებში წარმოდგენილი მოსაზრებებისა და ფენომენების იდენტიფიცირების მიზნით (Sazyek, 2013, s. 317-323), და რელატიურობის თეორია იმ ასპექტების/კონდიციების დასადგენად, რომლებმაც გავლენა მოახდინეს თანფინარის აღქმასა და აზროვნებაზე; სოციოლოგიური მეთოდი იქნა გამოყენებული მის ნაშრომებში წარმოჩენილი სოციალური რეალობის შესასწავლად, ფსიქოანალიტიკური მეთოდი ავტორის კრეატიული აზროვნების არაცნობიერი პროცესების გამოსავლენად (Cebeci, 2004) და ბოლოს,

ინტერტექსტუალურობის მეთოდი გამოვვიყენეთ იმ ვარაუდით, რომ ნებისმიერი კონკრეტულ ავტორზე/ხელოვანზე შეიძლება გავლენა მოახდინოს რომელიმე სხვამ (Aktulum, 2007).

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა

თანფინარის შემოქმედებითი აქტიობის განვითარების საფეხურების იდენტიფიცირება (თვით-ცნობიერების ჩამოყალიბების პროცესში) სადაც მწერალი მიდის იმ დასკვნამდე, რომ უცხოელმა ხელოვნებმა-მოაზროვნეებმა ნეგატიური გავლენა მოახდინეს მის თვით-ცნობიერებაზე. თანფინარის ლიტერატურაში დასავლეთ-აღმოსავლეთის დუალიზმი და მისი არტისტული ნააზრევი მკვლევართათვის ერთერთი უმთავრესი საკვლევი თემატიკაა. ამას ავტორის იდენტობის დასადგენად გადამწყვეტი მნიშვნელობა გააცნია, რადგანაც არსებობს მისი, როგორც დასავლური ორიენტაციის/უნივერსალური/სხვა მოაზროვნედ წარმოჩენის ტენდენცია, მაშინ როდესაც სხვები მას მიიჩნევენ აღმოსავლური ყაიდის მოაზროვნე. თანფინარის ესთეტიკური კონცეფციის გამოვლენა აუცილებლად დაგვეხმარება მისი ორიენტაციის დადგენაში დასავლეთ-აღმოსავლეთის დუალიზმის ფარგლებში.

ონტოლოგიურ და ესთეტიკურ კომპონენტებთან დაკავსირებულ მიგნებებზე დაყრდნობით ჩვენ შევეცადეთ თანფინარის მიერ ნაშრომებში ხსენებული უცხოელი ხელოვნების ონტოლოგიურ პოზიციონირებებსა და ესთეტიკურ პერცეფციებს შორის შედარებითი ანალიზის ჩატარებას (ინტერტექსტუალურობის დონეზე)

კვლევის თეორიული ღირებულება

კვლევის ფარგლებში ჩვენ ვცადეთ შემდეგი მეთოდების გამოყენება: ლიტერატურული კრიტიციზმი, ტექსტის ანალიზი, სოციოლოგიური მეთოდი, ფსიქოანალიტიკური მეთოდი. პარალელუარდ გამოვიყენეთ მრავალმხრივი მიდგომები თანფინარის თვით-ცნობიერების ჩამოყალიბების პროცესის შესწავლისას.

კვლევის მასშტაბი და ლიმიტაციები

თანფინარის პოეზიაზე, ესსეებზე, რომანებზე და სამეცნიერო ნაშრომებზე და მის თვით-ცნობიერებაზე უცხოელი ავტორების/ხელოვნების გავლენის დადგენა წარმოადგენს ჩვენი კვლევის მიზანს. რა თქმა უნდა, არასწორი იქნებოდა მხოლოდ უცხოელ ავტორთა თანფინარის შემოქმედებაზე გავლენის შესწავლა. როგორც ზოგიერთი ლიტერატურის თეორეტიკოსი ამტკიცებს, მნიშვნელოვანია იმ გეოგრაფიული არეალებისა და კულტურული სივრცეების მრავალმხრივი გამოკვლევა, რომლებსიც ცხოვრობდნენ ხსენებული ავტორები. რადგანაც ზემოხსენებული კვლევის სფეროების ჩვენს კვლევაში ჩართვა აჭარბებს მოსალოდნელ მიგნებებს, ჩვენ მხოლოდ იმ უცხოელ ავტორებს შევისწავლით, რომლებმაც გავლენა იქონიეს თანფინარის არტისტულ-ლიტერატურულ აზრზე.

თავი 1: ლიტერატურის მიმოხილვა

თანფინარი არის ერთერთი ყველაზე ინტენსიურად გამოკვლეული თანამედროვე თურქი მწერალი, ლიტარატურის ისტორიკოსი, რომანისტი და პოეტი. მის შემოქმედებაზე ბევრი ნაშრომი დაიწერა. ბესიმ დელლალოღლუს მიხედვით 2013-2016 წლების მონაკვეთში მწერლის შემოქმედებაზე დაიწერა 20-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი (Dellaloğlu, 2018).

ის ფაქტი, რომ თანფინარი სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება თურქ მკითხველებში/სამეცნიერო წრეებში იმის მაჩვენებელია, რომ თანამედროვე თურქი მკითხველი განიცდის იმ კოგნიტიურ პროცესებს, რასაც თავის დროზე განიცდიდა თანფინარი, როდესაც მკითხველი იწყებს იმავე კითხვების დასმას და მათზე პასუხების გაცემას, რომლებზეც მწერალმა უკვე გასცა პასუხები.

თანფინარი ის მწერალია, რომელმაც თავისი ესთეტიკური ხედვა ჩამოაყალიბა როგორც აღმოსავლურ, ასევე დასავლურ პარადიგმებზე დაყრდნობით. თანფინარი წარმოადგენს საინტერესო პერსონას რადგანაც მან თავის ნაწარმოებებში წარმოადგინა სილამაზის/არტისტული კრეატიულობის ორივე - აღმოსავლური და დასავლური კონცეფციები, შექმნა რა უნიკალური თვით-ცნობიერება რომელიც მიიღო და

გაითავისა თურქმა მკითხველმა. ეს კონკრეტული ფენომენი მე-20 საუკუნის დასაწყისში მეცნიერული ბექგრაუნდის თურქმა პოლიტიკკოსებმა წარმოაჩინეს როგორც ცივილიზაციის ჰორიზონტი. როგორც იმ პერიოდის პრემიერ მინისტრმა, გენერალურმა მდივანმა, პროფესორ მუსთაფა ისენ-მა აღნიშნა, თურქული კულტურის მოდერნიზაციის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურები იყვნენ იაჰია ქემალი და თანფინარი.

მაშინ, როდესაც იაჰია ქემალმა მოახდინა საკუთარი აღმოსავლური ღირებულებების რე-კონსტრუირება დასავლურ პარადიგმაზე დაყრდნობით, თანფინარმა იგივე საკითხი განიხილა უფრო ფართო ჭრილში ნაწარმოებში სახელწოდებით "ვინ ვარ მე და ვინ ვართ ჩვენ?" (Tanpınar, 2013c), ისევე როგორც მის სხვა ნაწარმოებებში (გარდა მისი პოეზიისა), სადაც მწერალი ახდენს გარკვეული სახის სინთეზირებას ტრადიციულისა და თანამედროვისა (დასავლური).

ფუნდამენტური კითხვა - "ვინ ვარ მე და ვინ ვართ ჩვენ?", რომელსაც სვამს და პასუხობს თანფინარი თავის რომანებში შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც მისივე თვით-ცნობიერებიდან მომავალი კითხვა. ჰუსერლსის (Husserl) მოსაზრებით თვით-ცნობიერება (selbstverstandnis) არის პირის ცხოვრებისეული გამოცდილებების ერთიანობა experiences (იხ. Davutoğlu: Husserl, 1954, გვ. 275-280); მარდინის მიხედვით თვვით-ცნობიერება არის კულტურის მცდელობა მისცეს ახალი მნიშვნელობა პიროვნების კრეატიულ განზომილებას (Mardin, 1995, s. 27). დავუთოღლუსთვის თვით-ცნობიერება არის ინდივიდის მსოფლმხედველობა რომელიც ცდილობს მოახდინოს მისი ეგზისტენციალური პრობლემატიკის მოთავსება გონივრულ ჩარჩოში (Davutoğlu, 1997, s. 10). ჩვენ მიზნად ვისახავთ იმის გარკვევას, თუ როგორ მოხდა თანფინარის თვით-ცნობიერებაში დასავლურისა და აღმოსავლური კონცენფიების სინთეზი.

დავუთოღლუ, თავის ნაშრომში სახელწოდებით "ცივილიზაციათა თვით-ცნობიერება" აღნიშნავს, რომ საჭიროა ცივილიზაციათა თვით-ცნობიერებების ფუნდამენტური კომპონენტების გამოკვლევა ეპისტემოლოგიური ურთიერთმიმართებების კონტექსტში მათივე ძირითადი ონტოლოგიური

ფენომენების მეშვეობით. ეს ონტოლოგიური ფენომენებია: ადამიანი, სივრცე, დრო, ღმერთი-ადამიანის ურთიერთმიმართება, ღმერთი (Davutoğlu, 1997, s. 1-53).

დასავლური და აღმოსავლური თვით-ცნობიერების ელემენტები

მოცემული თავის მიზანია: თანფინარის თვით-ცნობიერების ესთეტიკური და ონტოლოგიური ელემენტების გამოვლენამდე აღმოსალური/მუსლიმური და დასავლური/ქრისტიანული კულტურული პარადიგმების გაანალიზება. ჩვენ ვაანალიზებთ დასავლელი და აღმოსავლელი ინდივიდების თვით-ცნობიერების ონტოლოგიურ ასპექტებს. ისეთი მოვლენები, როგორიცაა ღმერთი, ბუნება, სივრცე, დრო დაკავშირებულია ინდივიდების მიერ შექმნილ ეპისტემოლოგიურ ფენომენებთან.

შემედგომ ამისა ჩვვენ ვცდილობთ მოვახდინოთ ისეთი დასავლურ-აღმოსავლური პარადიგმების თანფინარისეული აზრის მიხედვით პოზიციონირება, როგორებიცაა ღმერთი, ღმერთი/ადამიანი, ბედისწერა და სხვა მსგავსნი. მაშინ, როდესაც დასავლურ აზროვნებაში ადამიანს რიგ შემთხვევებში შეუძლია მოახდინოს საკუთარი თავის გადალახვა და უფრო მაღლა წარმოჩნდეს, ვიდრე თავად უზენაესი, აღმოსავლურ პარადიგმაში უზენაესი აღიქმება როგორც უმაღლესი არსი, რომელსაც ვერ მიუახლოვდება ვერანაირი სხვა ქმნილება.

როგორც დადგინდა, ორივე - აღმოსავლურ და დასავლურ პარადიგმებში მსგავსად აღიქმება სივრცის, როგორც თვით-ცნობიერების ერთერთი ელემენტის ძირითადი ასპექტები. ჩვენ მოვახდინეთ სივრცის იმ ელემენტის იდენტიფიცირება, რომელსაც გავლენა აქვს ადამიანის კრეატიულად აზროვნების შესაძლებლობაზე. სივრცე, რომლის მოქმედების სუბიექტს წარმოადგენს ადამიანი, განისაზღვრა როგორც კულტურის ფორმირების მნიშვნელოვანი ასპექტი რომელის კვებავს არტისტულ კრეატიულობას ორივე - აღმოსავლურ და დასავლურ ცივილიზაციებში. ორივე პარადიგმაში დროის ცნება აგებულია ახლანდელ მომენტში ყოფნის წანამძღვარზე. ახლანდელ მომენტამდე განცდილი ქმედებები არსი წარსული, ხოლო ის ქმედებები, რაც ჯერ კიდევ უნდა განხორციელდეს, არის მომავალი.

თავი 2: კონცეპტუალური ჩარჩო

თავისი თვით-ცნობიერების აგების პროცესში თანფინარი იყენებს დასავლურ და აღმოსავლრ პერსპექტივებს ონტოლოგიურ ასპექტებთან მიმართებაში. ამის პარალელურად იგი იყო პირველი თურქი მწერალი, რომელმაც მიმართა ისეთ მეთოდს, რაც მანამდე არ ყოფილა გამოყენებული თურქული ლიტერატურის ფარგლებში. ეს გახლდათ "საგნებსა და მოვლენებზე" მიმართული ესთეტიკური მიდგომა რაც ეფუძნებოდა აღწერის პრინციპს. აღნიშნულმა მეთოდმა მწერალს მისცა იმ ფენომენების უფრო ნათლად იდენტიფიცირებისა და წარმოჩენის შესაძლებლობა, რომლებიც მის მიერვე იყო ესთეტიზირებული.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია იმ "საგანთა/მოვლენათა" დადგენა, რომლებიც აყვანილი იყვნენ სუბიექტი ხარისში იმ ონტოლოგიური ფენომენების პარალელურად, რომლებმაც ჩამოაყალიბეს თანფინარის თვით-ცნობიერება განხილული ინტერტექსტუალურობის კონტექსტში.

აჰმეთ ჰამდი თანფინარის თვით-ცნობიერების კომპონენტები

მოცემულ თავში განხილულია ის ფენომენები, რომლებსაც თითქმის სუბიექტის მნიშვნელობა აქვს მინიჭებული თანფინარის ნაწარმოებებში მაშინ როდესაც ხდება მათი ესთეტიზირება თვით-ცნობიერების კომპონენტებიდან. თვით-ცნობიერების ონტოლოგიური და ესთეტიკური კომპონენტები გადანაწილებულ იქნა ორ კატეგორიად. შევეცადეთ თვით-ცნობიერების კომპონენტების ინტერპრეტაციას დასავლური და აღმოსავლური პარადიგმების ჩარჩოებში.

თავის კიდევ ერთი მიზანია ადამიანურ ეგზისტენციაში თვით-ცნობიერების ადგილისა და მნიშვნელობის განსაზღვრა და თუ როგორ გადმოიცემა და ესთეტიზირდება აღნიშნული ფენომენი თანფინარის ნაწარმოებებში.

თავის მიგნებები საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ და გადავაფასოთ თანფინარის ონტოლოგიური კომპონენტები კრიტიკული თვალთახედვით. აქ ჩვენ აგრეთვე ვავლენთ იმ მეთოდებს, რომელთა მეშვეობითაც თანფინარი ახდენს საკუთარ

თვით-ცნობიერებასა და იმ ფენომენებს შორის ურთიერთმიმართების გამოხატვას, რომელთაც იგი აღწერს საკუთარ ნაშრომებში.

მაშინ, როდესაც თანფინარი იმ კომპონენტებს, რომლებიც ქმნიან მისივე თვით-ცნობიერებას და რომლებსაც იგი გადასცემს მკითხველს, მისი ძირითადი აზრობრივი ხაზები ფარული რჩება. მეორეს მხრივ, საკუთარი თვით-ცნობიერების ესთეტიკური მხარის ჩამოყალიბებისას გადმოცემული ფენომენები გაშუქებულია დასავლელი ავტორებისა და მათი ნაწარმოებების მოშველიებით.

თავი 3: მეთოდი

კვლევის მეთოდი

ის მკვლევარები, რომლებიც კითხულობენ ტექსტზე ორიენტირებულ მწერლებს "თვით-ცნობიერების" კონტექსტში შეიძლება გაუცნობიერებლად აირჩიონ კოგნიტიური ასოციაციების, ქვეცნობიერი იმპულსების გაანალიზების გზა ტექსტის წყობისა და ცნობიერი სტრუქტურების საფუძველზე. ერთერთი დებულების თანახმად ცნობიერი და არაცნობიერი ენები, რომლებიც გამოიყენება მხატვრულ ტექსტებში უნდა იქნას განხილული როგორც ერთი მთელი (Rifat, 2007, s. 35). ჩვენ შევადარეთ აჰმეთ ჰამდი თანფინარის წერის ცნობიერი და არაცნობიერი სტილები ფსიქოანალიზის მეთოდის გამოყენებით. ჩვენ აგრეთვე თანფინარის ნაწარმოებების გმირებისა და თავად მწერლის ცხოვრებისეული გამოცდილებები. ჰილმი იავუზი თავის ნაშრომში სახელწოდებით ტექსტის წაკითხვის სტილები აღნიშნავს, რომ "ფსიქოანალიტიკური წაკითხვის მეთოდი ეფუძნება ინტერპრეტაციასა და გამოხატვას". "სიზმრების მსგავსად მხატვრული ნაწარმოები ასევე შეიძლება ინტერპრეტირებულ, გაანალიზებულ და გამოყოფილ იქნას" (Yavuz, 2012, s. 41). ჩვენ შევეცადეთ წაგვეკითხა თანფინარის ნაშრომებში გადმოცემული უცხოელი ავტორები არა მხოლოდ ნეგატიურ-პოზიტიურ კონტექსტში, არამედ საკუთრივ თვით-ცნობიერების კუთხითაც, სადაც გავითვალისწინეთ მწერლის ცხოვრებისეული გამოცდილება და ნაშრომები. "ზიგმუნდ ფროიდმა შემოიღო ფსიქოანალიტიკური მეთოდი და იგი დაუკავშირა კრეატიულ აქტიობას. ამ მეთოდის მიხედვით

შესაძლებელია ტექსტის უკეთ წაკითხვა/გაგება ავტორის ქვეცნობიერი სიზმრების გაანალიზების მეშვეობით ვიდრე უშუალოდ ტექსტის წაკითხვით. ამგვარად, მხატვრული ტექსტი, როგორც კრეატიული აქტიობის პროდუქტი გადაიქცევა ერთგვარ ფსიქოლოგიურ ლაბორატორიად (Önal, Edebiyat Sanatı, 2015, s. 359-360). ფსიქოლოგიური ანალიზის ფარგლებში შევეცადეთ თვით-ცნობიერების ელემენტების გამოვლენა.

უცხოელები, როგორც აჰმეთ ჰამდი თანფინარის თვით-ცნობიერების კომპონენტები

მოცემულ თავში განვიხილავთ იმ უცხოელ ხელოვნებს, რომლებმაც ჩამოაყალიბეს მწერლის თვით-ცნობიერება, ისევე როგორც მისი ანტითეზა (პიროვნებები, ხელოვნები, ხელოვნების დარგები). იდენტიფიცირებული უცხოელი ხელოვნები მოვახვედრეთ ორ კატეგორიაში ონტოლოგიური და ესთეტიკური ასპექტების მიხედვით. უცხოელი ავტორები, როგორც თვით-კონცეფციის კომპონენტები ინტერპრეტირდა ესთეტიკურ და ონტოლოგიურ ასპექტებზე დაყრდნობით პოზიტიურ/ნეგატიური დიხოტომიის კონტექსტში.

თავის მიზანია თანფინარის მიერ უცხოელ ავტორებთან დასახული ურთიერთქმედების არსი და ხსენებულ ავტორთა პოზიციონირება მწერლის ნაწარმოებებში. დადგინდა, რომ თვვით-ცნობიერების აგების პროცესში თანფინარზე გავლენა მოახდინეს უცხოელმა ავტორებმა და ზოგადად - დასავლურმა ხელოვნებამ. თანფინარმა განიცადა ევროპელი ხელოვნების პოზიტიური გავლენა, მოახდინა რა დასავლური კულტურის მიღწევების გათავისება, რაც ვერ ჩაითვლება საკუთარი კულტურისგან გაუცხოებად, არამედ კრეატიულობისა და თვით-განვითარების მაგალითად.

თანფინარი გახს უსვამდა ტრანსფორმაციისა და განვითარების მნიშვნელობას დასავლური ტიპის ისეთი სფეროების განვრცობით, როგორიცაა ხელოვნება, კულტურა, სოციალური ცხოვრება, ეკონომიკური მოწყობა და სხვა. ეს იყოს თანფინარის ის განსხვავებული პოზიცია, რაც მას განასხვავებდა მისი თანამედროვე მწერლებისგან. თანფინარის მიერ არჩეული გზა არ გახლდათ მხოლოდ დასავლური

ხელოვნებისა და აზროვნების ბრმა იმიტირება არამედ იგი ამჯობინებდა ყოველივე დადებითი ასპექტების მოდიფიცირებას და მატ მორგებას თურქულ კულტურულ სივრცეზე. თანფინარის მწერლობაში უცხოელი ხელოვნები წარმოჩენილია ნეგატიურ-პოზიტიურ კონტექსტებში. მწერალი ადიდებდა დასავლურ ხელოვნებას და დასავლელ ხელოვნებს ესთეტიკური კუთხით. მწერლის მიერ კრიტიკულად შეფასებული მოვლენები გახლდათ იმ პერიოდის ომები, იძულებითი მიგრაციები და განადგურებული კულტურები, რაც იყო უცხოური პოლიტიკური პარადიგმებისა და ძალის შედეგი.

თავი 4. მიგნებები და ინტერპრეტაციები

მიგნებები

- თანფინარის მიერ უცხოელი ხელოვნებისა და მწერლების დადებითი კუთხით აღქმამ არ გამოიწვია მასში საკუთარი (თურქული) კულტურისგან გაუცხოება, რაც, როგორც წესი თანამედროვე პოსტმოდერნული ლიტერატურის ზოგადი მახასიათებელია. მწერალი უცხო კულტურის გათავისებით ახდენს მისი შინაგანი თვითობის ფორმირებასა და გადმოცემას.
- თანფინარის დროის ცნება ეფუძნება დროის დასავლურ პარადიგმას. დროის, როგორც "მონოლითის" აღქმა მომდინარეობს ბერგსონის დროის ცნებიდან.
- შეიძლება ითქვას, რომ თანფინარის ზღვისა და ნავის მეტაფორა მომდინარეობს ბერგსონის დროის ცნებიდან რომელიც შედგება აწმყოსგან და არა წარსულისა და მომავლისგან. აქ ზღვის მეტაფორა აღნიშნავს უსასრულობას. აწმყო მომენტი ის მომენტია, რომელშიც არ ხდება წარსულსა და მომავალს შორის განსხვავება, ისევე როგორც ზღვის მეტაფორაში.თანფინარი ამტკიცებს, რომ თითოეული ადამიანი პასუხისმგებელია სხვა ადამიანების ბედზე. ნათელია, რომ თანფინარი ამ მოსაზრებას ესესხება დოსტოევსკის, რომელიც ამბობს, რომ ადამიანები სხვათა არსებობაზე არიან პასუხისმგებელნი და რომ თვით-ცნობიერება არის უმძიმესი პასუხისმგებლობათაგანი.

- იმისათვის, რომ ცივილიზაციამ მოახდინოს კვლავ-წარმოება, ინდივიდებმა უნდა გაითვალისწინონ თავიანთი წარსული გამოცდილებები. ამისთვის, ინდივიდი აზროვნებს და ცხოვრობს ისე, როგორც მისი წინაპრები ცხოვრობდნენ და აზროვნებდნენ. როგორც პოლ ვალერი აღნიშნავს, ინდივიდს არ შეუძლია იმ ფარგლებს გარეთ გასვლა, რასაც მას საზოგადოება და კულტურა უწესებს. ინდივიდი არის გარემოებათა მსხვერპლი. ვალერის საწინააღმდეგოდ თანფინარი (რომლის მიმდევარსაც ეს უკანასკნელი წარმოადგენდა) ამტკიცებდა, რომ ადამიანს შეუძლია საკუთარი ბედისწერის გადალახვა არსებობის ტრაგიკული ფორმების დაძლევის მეშვეობით. თანფინარის აღნიშნული მტკიცება მსგავსებაშია სარტრის მოსაზრებასთან.
- თანფინარი არ ენდობა ადამიანს, თუმცა ამასთანავე არ კარგავს მასში იმედს. მწერალი ეწინააღმდეგება იმ მოსაზრებას, რომ ადამიანი ბიოლოგიური მანქანაა და რომ იმ მომენტიდან, როდესაც ადამიანი კავშირს გაწყვეტს ღმერთთან, მას არანაირი ძალა აღარ აკავებს ბოროტების ჩადენისგან.
- თანფინარის მიხედვით ცივვილიზებული ადამიანია ის, ვინც აჩვენებს სხვებს მის ქმნილებებს. ეს მოსაზრება მსგავსებაშია ნიცშეს "ზეადამიანის" ცნებასთან. მწერლის გმირებიდან განსაკუთრებით საბიჰა ავლენს ზეადამიანის თვისებებს რიგით (ბრბო) ადამიანებთან ურთიერთობაში.
- "სიზმრის" თანფინარისეული ინტერპრეტაციები მისი თვით-ცნობიერების მნიშვვნელოვანი კომპონენტია. თითქმის ყველა ნაშრომში სიზმარი ინტერპრეტაციების ერთერთ ცენტრალურ ასპექტად გვევლინება. თანფინარის ესთეტიკაში სიზმარი ის ფენომენია, სადაც მნიშვნელობას იძენენ არა მხოლოდ ის მომენტები, რომლებას გმირები ხედავენ სიზმარში, არამედ სიფხიზლისას განცდილი გამოცდილებებიც კი სიზმრის ფარგლებში ინტერპრეტირდება.
- გამოვლინდა, რომ სიკვდილის თანფინარისეული ცნება მსგავსებაშია კირკეგარდისა და ჰეიდეგერის სიკვდილის ცნებებთან. კირკეგარდი და ჰეიდეგერი სიკვდილს განიხილავენ, როგორც სიცოცხლის ერთერთ ფორმად. ადამიანი სიცოცხლეშივე უნდა ეძიებდეს სიკვდილს, არა სხვაგან.

- თანფინარი აგებს ადექვატურ ურთიერთმიმართებას სიკვდილისა და დროის ცნებებს შორის. მწერლის აღნიშნული ცნებები მსაგვებაშია ემანუელ ლევინასის იმავე ცნებებთან.
- თავის პირად დღიურებში თანფინარი აღნიშნავს, რომ მასზე გავლენა მოახდინა დასავლურმა კულტურამ, თუმცა იგი ამასთანავე ავლენს და აქტუალიზებას უკეთებს საკუთარ კულტურას. იგი აღნიშნავს, რომ მან უფრო დიდი დაინტერესება გამოხატა ევროპელი კომპოზიტორებისადმი, ვიდრე მათი მუსიკალური ნაშრომებისადმი.
- თანფინარი გამოხატავდა ინტერესს დასავლური მხატვრობისადმი არა მხოლოდ მხატვრობის გამო. იგი არი ~ს ის, ვისაც შეუძლია გაიგოს და გააკრიტიკოს მხატვრობა.მწერალმა გაიცნო ბევრი მისი თანამედროვე ევროპელი მხატვარი. მხატვრობის კრიტიკის მისეული მაგალითებია:
    - გრომირესა და ვალხის მეწამულ და წითელ ფერებს შორის მსგავსებასა და განსხვავებაზე მსჯელობა
    - აკრიტიკებს პიკასოს იმისთვის, რომ იგი ცდილობს აღმოაჩინოს ადამიანში ისეთი რამეები, რაც რეალურად მის გარეთაა არსებული.
    - შარლ ლაფიქი ერთერთი იმ მხატვართაგანია, რომელიც თანფინარმა აღმოაჩინა მისი ერთერთი ევროპული ვიზიტისას და რომმელიც მან გააკრიტიკა ნეგატიური კუთხით.
    - თანფინარის მიხედვით ისეთი მხატვრები, როგორებიც იყვნენ ლეონადრო და ვინჩი, რემბრანდტი, ჰარმერზონ ვან რიინი, ანტონი ვატუ არიან დასავლური ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლები რომლებმაც მოახერხეს საკუთარი დროის ლიმიტების გადალახვა და მათი მემკვიდრეობა დღესაც ცოცხალია.
    - თანფინარის ერთერთი ქალი გმირი ანდრიენი ჰგავს ალბერტ დუბოს ერთერთ ქალს გამოსახულს მისივე ტაბლოზე.
    - ჯაჰიდე, კიდევ ართი თანფინარის გმირი მსგავსებას ამჟღავნებს მე-17 საუკუნის ესპნელის მხატვრის ბართოლომე ესტენბან მურილლოს ერთერთი ნახატის პესრონაჟს (წმინდანი/ანგელოზი).

- თავის ნაწარმოებში სახელწოდებით Huzur (ნეტარება) თანფინარი ნურანს მიაწერს იმ თვისებებს, რომლებსაც ევროპელი მხატვრები გამოხატავენ თავიანთ ტაბლოებზე. მაგალითად, ნურანი მეტად ჰგავს რენუარის ან ვენიცის ნახატებზე გამოსახულ ქალებს.
- თანფინარი ნურანს ადარებს მე-15 საუკუნის იტალიელი მხატვრის დომენიკო გირლანდაიოს ნახატს, რომელზეც გამოსახულია ერთერთი ქალი პერსონაჟი.
- ის გარემოება, რომ მუმთაზი ჯერ კიდევ ბავშვობაში დაობლდა, მსგავსებას ავლენს მე-15 საუკუნის იტალიელი მხატვრის ფრა ფლიპპო ლიპპის ტაბლოსთან "ყრმა იესო ვარდებით"
- სუათის სიკვდილის შემდეგ მუმთაზის ტრანსფორმაციები შედარებულია ბოტიჩელის ანგელოზებთან.
- ადამიანის ბედისწერა შედარებულია გოიას პრადოს პერსონაჟთან.

- თანფინარზე გავლენა მოახდინეს ისეთმა მწერლებმა და პოეტებმა, როგორებიცაა პოლ ვალერი, მალარმი, პო, პუშკინი, დოსტოევსკი და სხვებმა.
- დე რენიერი, ჰერედია, ვარლანი, ბოდლიარი, მალარმე, დე ნერვალი ის მწერლებია, რომლებმაც თანფინარის ესთეტიკურ ცნობიერებაზე მნიშვნელოვვანი გავლენა მოახდინეს.
- ნერვალის პოეზიამ და პროზამ თანფინარზე არა მხოლოდ ზოგადი გავლენა იქონია, არამედ დიდი როლი ითამაშა მისი სტილისტური და სტრუქტურული გამოხატვის ფორმირებაში.
- თანფინარმა ბოდლიარი გაიცნო იაჰია ქემალის მეშვეობით. როგორც მწერალი აღნისნავს, ბოდლიარმა მასსი აღძრა ინტერესი ევროპული მუსიკისა და მხატვრობისადმი.
- თანფინარის მტკიცებით ანატოლი ფრანსმა შეაფერხა მისი არტისტული განვითარების პროცესი. კრეატიული აზროვნებისაკენ თანფინარს გზის გაკაფვვაში დაეხმარნენ გოეთე, ჰოფმანი, დოსტოევსკი და პო.

- ბალზაკი ერთერთი უდიდესი გავლენის მქონე მწერალია თანფინარისთვის. თავის რომანში "ხუთი ქალაქი" თანფინარი შეეცადა გამოხატვის ბალზაკისეული სტილის დანერგვას.

ფრანგული ლიტერატურის პარალელურად თანფინარი უნივერსალურ ლიტერატურულ მემკვიდრეობად მიიჩნევდა ასევე რუსულ ლიტერატურასაც: პუშკინი, ტურგენევი, გოგოლი, დოსტოევსკი, ტოლსტოი, ბუნინი.

დასკვნები და რეკომენდაციები

a. დასკვნა

თანფინარი არის ის თანამედროვე მწერალი, რომელიც თავის შემოქმედებაში შეეცადა მუსიკის, მხატვრობის, არქიტექტურის და ქანდაკების ესთეტიკური ასპექტების დანერგვას. როგორც მრავალმხრივი მწერალი თანფინარი მიიჩნევა ისეთ მწერლად, რომელმაც თავის ნაწარმოებებში მოახდინა დასავლური და აღმოსავლური ფილოსოფიური პარადიგმების კომბინირება. პირველ თავში განხილულ იქნა თვით-ცნობიერების ფენომენი დასავლურ და აღმოსავლურ აზროვნებაში. მეორე თავი კი განიხილავს თანფინარის თვით-ცნობიერების კომპონენტებს.

დასავლური და აღმოსავლური ფილოსოფიური პარადიგმების ფარგლებში განვიხილეთ ისეთი ცნებები, როგორიცაა დრო, სივრცე, ღმერთი, ბედისწერა. ადამიანისა და სივრცის ცნებები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. ორივე - დასავლურ და აღმოსავლურ პარადიგმებში ადამიანი წარმოადგენს სივრცის მთავარ სუბიექტს. ადამიანი ცდილობს სივრცეს მიანიჭოს უსასრულობის არსობა. სივრცის ცნება, რომელიც მხატვრული ნაწარმოების ერთერთი უმთავრესი ასპექტია, ასახავს კულტურულ და ისტორიულ ცვლილებებს. თანფინარმა ხაზი გაუსვა კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ ცვლილებებს შინაგანი და გარეგანი ტრანსფორმაციის პარალელურად.

თანფინარის მიხედვით პიროვნების თვით-ცნობიერების ჩამოყალიბებაში ორი მთავარი ფაქტორი მონაწილეობს, პირველი - კულტურული მემკვიდრეობა და თვით-იდენტობა და მეორე - უცხო კულტურები და მათი პოზიტიური გავლენა ინდივიდის

კრეატიულ აზროვნებაზე. თანფინარის აზრით მხატვრობა, მუსიკა, არქიტექტურა თუ ქანდაკება უკეთესად გაიგება მაშინ, როდესაც ხდება მატი შედარება უცხო კულტურების იმავე ელემენტებთან. მას შემდეგ რაც თანფინარმა შეიცნო ევროპული კულტურული მემკვიდრეობის საუკეთესო ნიმუშები, მან უფრო დააფასა საკუთარი კულტურა, მისი ღრმა და განუმეორებელი არსი. იმისათვის რომ ადამიანმა სათანადოდ დააფასოს საკუთარი კულტურა, იგი უნდა იცნობდეს სხვა კულტურებსაც.

ნაშრომის მესამე თავში განვიხილავთ თვით-ცნობიერების ელემენტებს პოზიტიურ/ნეგატიურ კონტექსტებში. ჩვენ განვიხილეთ თანფინარის "უცხოს" ონტოლოგიური და ესთეტიკური ასპექტები.

თვით-ცნობიერების ონტოლოგიური კომპონენტები დაყოფილია ორ კატეგორიად - უცხოელები, რომლებიც ცხოვრობდნენ თურქეთში და ისინი, ვინც ევროპაში ცხოვრობდა. როგორც თანფინარი აღნიშნავს, თურქეთში ჩასულმა ბელორუსებმა ითამაშეს მნიშვნელოვანი როლი იმ დროინდელ სოციალურ ცხოვრებაში. კერძოდ, მათ ითამაშეს მნიშვნელოვანი როლი თურქეთის სოციო-კულტურული ცხოვრების განვითარებაში. თანფინარი აღნიშნავს, რომ რუსების ჩასვლით სტამბულში დაიწყო ღამისა და ქუჩის ცხოვრება. რუსმა ქალებმა აგრეთვე გარკვეული გავლენა მოახდინეს იმდროინდელ თურქ ქალებზე.

თანფინარის ნაწარმოებებში უცხოელი მწერალ-პოეტები დადებითი კუთხით არიან წარმოჩენილნი. უცხოელები აგრეთვე დადებით როლს თამაშობენ თვით-ცნობიერების ჩამოყალიბებაში და კარგისა და ცუდის ერთმანეთისგან განსხვავებაში. უცხოელები ნეგატიურ კონტექსტში განიხილებიან პირველი მსოფლო ომის გამო.

თანფინარის პოეტურ კრეატიულობაზე დიდი გავლენა იქონიეს ფრანგმა მწერალ-პოეტებმა. მან თავისი თვით-ცნობიერება ფრანგი მწერლების, მხატვრებისა და მუსიკოსების ესთეტიკაზე დაფუძნებით ჩამოაყალიბა. თანფინარის არტისტული ტრანსფორმაცია არ ეფუძნება უცხოელი ავტორების ნეგატიურ პერცეფციას. მწერლის მიხედვით მუსიკას, ლიტერატურას და არქიტექტურას კულტურული კვლავწარმოებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. იგი ცდილობდა

გაეთავისებინა უნივერსალური კრეატიული ღირებულებები და იმავე დროს ინარჩუნებდა ორიგინალურ ეროვნულ კულტურულ იდენტობას.

b. რეკომენდაციები

- თანფინარმა არსებულ და სასურველ თვით-ცნობიერებაზე მოახდინა კონცეპტუალიზება *უცხოსთან* მიმართებაში. სამომავლო კვლევებში შესწავლილ უნდა იქნას თვით-ცნობიერებისა და უცხოს ურთიერთმიმართება.
- შეიძლება ჩატარდეს ინტერტექსტუალური ანალიზი იმ ხელოვნებთან მიმართებაში, რომლებსაც თანფინარი ახსენებს თავის ნაწარმოებებში.
- თანფინარი თავის მხატვრულ ნაწარმოებებში ხშირად საუბრობს უცხოელ მხატვრებზე. მიზანშეწონილი იქნება თანფინარის მხატვრობასთან დაკავშირებული კრიტიკული აზრის შესწავლა.
- დასავლური და აღმოსავლური სემანტიკური პარადიგმების ერთმანეთთან შედარება.
- თანფინარის შემოქმედებაში თვით-ცნობიერების საკითხის შესწავლა.
- თანამედროვე თურქული ლიტერატურის შესწავლის პარალელურად თვით-ცნობიერების საკითხის შესწავლა.
- თანფინარის თანამედროვე თურქ მწერალთა თვით-ცნობიერების შესწავლა და მათი უცხოელ არტისტებთან დამოკიდებულება.
- თანფინარის ნაწარმოებებში ცვლილებებისა და ტრანსფორმაციების გამოვლენა.
- თანფინარის დღიურების, სტატიების და წერილების გაანალიზებით მხატვრობასთან დაკავშირებული ესთეტიკურ-კრიტიკული აზრის გამოვლენა.
- მწერლის ნაწარმოებებში მოყვანილი იმ უცნობის არტისტების და მათი ნაშრომების იდენტიფიცირება, რომლებმაც გავლენა იქონიეს მის ესთეტიკურ აზროვნებაზე.
- ნერვალთან წარმოდგენილი სიზმრების ასოციაციების ანალიზი პაროდიულ განზომილებაზე ინტერტექსტუალური ანალიზის გმაოყენებით.
- წერის მანერისა და კრეატიული აზროვნების მსგავსი სტილისტური ასპექტების გამოვლენა ისეთ მწერლებთან მიმართებაში, როგორებიცაა კაფკა, ნერვალი და დოსტოევსკი.

- თანფინარი ყოველთვის ნეგატიურ მნიშვნელობას არ ანიჭებს *უცხოს*. რიგ შემთხვევებში უცხო წარმოადგენს პოზიტიურ ფაქტორსაც. ისეთი პერსონაჟები, როგორებიცაა ჰალით აიარჯი, მუჰთარი, მოლლა ბეი შეიძლება გაანალიზდეს ნეგატიურ-პოზიტიურ კონტექსტებში.

გამომცემლობის კონფერენცია

ქამალ, აისელ (2016). რასიმ ოზდენორენის ამბავის „Kuyu” (Well) შედარება, გადათარგმნილი აზერბაიჯანულ-თურქულში და თურქულ-თურქულში ლინგვისტიკის პერსპექტივის თვალსაზრისით, *პირველი საერთაშორისო ცონფერენცია ისტორია, ლიტერატურასა და კულტურაზე შავი ზღვის რეგიონსა და სამხრეთ კავკასიაში, გვ. 61-69, 20 სექტემბერი, თბილისი/საქართველო.*

სტატია:

ქამალ, აისელ (2017). რუსულის ფენომენის „სემანტიკური „კოსმოსი“ აჰმეთ ჰამდის თანპინარის ნაშრომებში“, *აკადემიური სოციალური მეცნიერების ჟურნალი,* წელი: 5, საკითხი: 63, დეკემბერი, გვ. 766-777.

უსთუნიერ, ილიას, ქამალ, აისელ (2017). ურთიერთობა თვითსა (Mumtaz) და "სხვა" (Suat) შორის აჰმეტ ჰამდის ტანპინარში მშვიდობის გონება, *შზსუს ჰუმანიტარული ჟურნალი,* მოცულობა: 6, გამოცემა: 2, დეკემბერი, გვ: 31-35

ქამალ, აისელ, ათიშ, სინემ (2017). შედარებითი ანალიზი აჰმეთ ჰამდი თანპინარის ევროპის ქვეყნებში მოგზაურობის შესახებ, *European Journal of Multidisciplinary Studies*, გვ. 78-84, მოცულობა:5, ნომერი:1